ხელშეკრულება

2017/187

ქ. თბილისი

2 ---11--- 2017 წ.

ჩვენ მხარეები, ი/მ „დავით წიკლაური“, მისი დირექტორის დავით წიკლაურის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) ერთის მხრივ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პაპუნა შენგელაიას სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქეპუნქტის შესაბამისათ ვადგენთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულებას კისრულობს გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა, კერძოდ: ჩარჩოების დამზადება (CPV 18530000)

დასახელება შესრულებული სამუშაო	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი	სრული თანხა
ჩარჩო, მინა	A4	25 ცალი	9.00	225.00

1.2 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 225.00 (ორასოცდახუთი) ლარს.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

2.1.1 საქონლის მიღებიდან და შესაბამისი საბუთების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში სრულიად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ საქონლის ღირებულება.

2.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

2.2.1 გადასცეს „შემსყიდველს“ უნაკლო საქონელი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელს/შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებლების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ს.

3.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულების შესრულებიდან.

3.3 იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ან/და მხარეთა მიერ მის სრულიად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულება.

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

6. ფორსმაჟორი

6.1 არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით;
7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს;

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 ს/კ 204469280 სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE 22	ი/მ „დავით წიკლაური“ ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ. №9 ს/კ 01030020201 ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ც/ფ ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ნ GE92PC 0233 6001 0000 6668

პ. შენგელაია

დ. წიკლაური